სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/177

ქ. თბილისი

23 ოქტომბერი 2025 წ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების
მოდიფიცირებული სახით დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს 2025 წლის 20 ოქტომბრის სხდომის #10 ოქმის, ენერგეტიკის ფაკულტეტის საბჭოს 2025 წლის 20 ოქტომბრის სხდომის #1 ოქმის, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საბჭოს 2025 წლის 20 ოქტომბრის სხდომის #18 ოქმის, სატრანსპორტო სისტემების და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის საბჭოს 2025 წლის 20 ოქტომბრის სხდომის #7 ოქმის, სამთო გეოლოგიური და მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის საბჭოს 2025 წლის 20 ოქტომბრის სხდომის #1 ოქმის და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 23 ოქტომბრის №01-05-02/24 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

   1.1. „საშენი მასალების ხარისხის კონტროლი“;
   1.2. ელექტრიკოსი;
   1.3. კომპიუტერული ქსელი და სისტემები;
   1.4. გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება;
   1.5. გრაფიკული დიზაინი;
   1.6. მოდის ტექნოლოგია და დიზაინი;
   1.7. ტვირთების ექსპედირება;
   1.8. საწყობის ოპერირება;
   1.9. სარკინიგზო გადაზიდვები;
   1.10. ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემის შეკეთება;

1.11. ავტომობილის ძრავას შეკეთება;
1.12. ტყავის ნაკეთობათა წარმოება;
1.13. საბაჟო საქმე;
1.14. მეგათქაშე;
1.15. მღებავი;
1.16. ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა.

2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**